

შპს „ევროპიან პრაიმკლას ქონსტრაქშენ“-ის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შ ი ნ ა ა რ ს ი

- 1) ზოგადი ინფორმაცია
- 2) განმარტებითი შენიშვნები

შპს ეუროპიან პრაიმკლას ქონსტრაქშენი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით(თანხები მოცემულია ლარებში)

ზოგადი ინფორმაცია

შპს ეუროპიან პრაიმკლას ქონსტრაქშენი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის მიერ

ქ. თბილისის დიდუბე ჩუღურეთის რ-ში ე.ვ.ფიფიების# 3 2014 წ 29აპრილს ორგანიზაციის ფაქტიური მისამართია საქართველო ქ. თბილისი უნივერსიტეტის ქ.2. დამფუძნებლები და 50-50% წილის მფლობელები არიან თამარ გელიაშვილი (საქართველოს მოქალაქე პ.ნ 01005023337) და ტომას ულლრიხი (გერმანიის ფედერ. რესპუბლიკის მოქალაქე IXWYMTV). დირექტორია თამარ გელიაშვილი.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას შეადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სახლების მშენებლობა - რემონტი და 2020 წელს დაემატა სამშენებლო ინვენტარის ქირით გაცემა.

ორგანიზაცია ჩართულია გადასახადის გადამხდელათა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და 2014 წლის 19 მაისიდან დარეგისტრირებულია ნებაყოფლობით დღგ-ს გადამხდელად.

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

- * მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- * ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას
- * დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე

*ორგანიზაციის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

*ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

*ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ორგანიზაციის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

* სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

*ორგანიზაციის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

* თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების(მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ე.ი ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2020 წელს მსოფლიოში დაფიქსირდა კორონავირუსის სწრაფი გავრცელება და შესაბამისად ქვეყანაში ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ეკონომიკის განვითარებაზე იმოქმედა.

2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობა. მიუხედავად ამისა ჩვენს ორგანიზაციას სამშენებლო სამუშაოები თითქმის არ შეუჩერებია, მაგრამ ორგანიზაციამ 2020 წელს გადაწყვიტა ახალი სამშენებლო ობიექტის ნაცვლად სამშენებლო ინვენტარის გაყიდვა- გაქირავება ზოგიერთი მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებების დასაფარად.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება სამშენებლო ხელშეკრულების დასადასტურებლად.

აღნიშნული ფაქტორების მიუხედავად ორგანიზაციის ხელმძღვანელობა თვლის, რომ

მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება **ფუნქციონირებადი** საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება შედგება: 2018 - 2019 -2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის, 2019-2020 წლის საქმიანობის შედეგების და 2019-2020 წლების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

წამოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი
2020 წლის 1 იანვარს	2,8677
2020 წლის 31 დეკემბერს	3,2766

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ორგანიზაცია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კორგანიზაციის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრები სრულად შედგება ბანკში და სალაროში არსებული. ფულადი სახსრებისგან ლარში, რაც წარმოადგენს მოკლევადიან აქტივებს.

იხ.შენიშვნა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები (ძირითადად სამშენებლო ინვენტარის იმპორტი) აისახება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსისმიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ორგანიზაციას გააჩნია სავაჭრო მოთხოვნები, აქედან რამდენიმე ორგანიზაციასთან მიმდინარეობს დავა და საქმე შეტანილია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში დებიტორული ვალების ამოღებაზე. პროცესი მიმდინარეობს. ორგანიზაციის უიმედო-ხანდაზმული ვალი - 10119 ლარი რომელიც აღიარებული იყო შემოსავალში 2019 წლის აპრილის თვეში, დაბეგრილი იო დღგ-ით და მოგების გადასახადით ჩამოწერილია არასაოპერაციო ხარჯების სახით საქმიანობის შედეგებში- ზარალი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 05.12.2019წ გადაწყვეტილება საქმე”ე და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 21.07 2020 წლის გადაწყვეტილება საქმე “თბილისის სააქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს “ს ძირითადი სარჩელიც და ჩვენი კომპანიის შეგებებული სარჩელი, რაც შევიდა ძალაში და ჩვენმა დავალიანებამ მის მიმართ შეადგინა 144816 ლარი და ეს თანხა ასახულია საქმიანობის შედეგებში, როგორც არასაოპერაციო ხარჯი-ზარალი.

სხვა სავაჭრო მოთხოვნები დანარჩენი კი განეკუთვნება მოკლევადიან მოთხოვნებს

იხ.შენიშვნა

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვა ხდება უწყვეტად. ორგანიზაციის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შესდგება სამშენებლო მასალებისგან. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების პერიოდის ხარჯებში ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით გაანგარიშებული ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების შეძენის ფასს და მათ ობიექტამდე ტრანსპორტირების დანახარჯებს, მასალების ხარჯებად აღიარება ხდება შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების მიხედვით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგები შედგება 215389 ლარი და შესდგება სამშენებლო მასალებისგან.

იხ.შენიშვნა

ძირითადი საშუალებები

აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ანარიცხებით და გაუფასურების ანარიცხებით საჭიროებისამებრ. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. შენობო-ნაგებობების შეკეთების უმნიშვნელო ხარჯები გაწვევისთანავე აისახება ხარჯებში, ხოლო ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ამოიღება ხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი არსებობის შემთხვევაში, აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება საბალანსო ღირებულებამდე, გაუფასურების ზარალი აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში. აქივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებაში ზარალის კორექტირება. ცვლილების შემთხვევაში ხდება წინა წლებში ასახული გაუფასურების ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსავალი და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ორგანიზაციაში

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცავს :ნასყიდობის ფასს -იმპორტის დროს ინვოისის მიხედვით ,განბაჟების ხარჯებს ,ტრანსპორტირების და სამუშაო მდომარეობაში მოყვანის ხარჯებს
- საკუთარი ძალებით გარემონტებული ძირითადი საშუალებების ღირებულებაში გაწეული ხარჯები , სადაც არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება)
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხვება ორგანიზაციის მიერ არჩეული წრფივი მეთოდით .

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსავალი სხვაობა გაყიდვის ფასსა , საბალანსო ღირებულებასა და დაგროვილი ცვეთის შორის აღიარდება მიმდინარე

წლის მოგება-ზარალში, რაც განხორციელდა 2020 წელს

ორგანიზაციის ბალანსზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული ძირითადი საშუალებების შესდგება სამშენებლო დანადგარების ,ოფისისა და სამშენებლო ინვენტარისაგან .

იხ.შენიშვნა

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის)

ორგანიზაციას გააჩნია სავაჭრო ვალდებულებები -სამშენებლო მასალების მოწოდებით და სხვადასხვა ორგანიზაციების მომსახურებით წარმოქმნილი , რომლის დაფარვაც ხდება ,როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების დასაფარად ორგანიზაციას მოუხდა 2020 წლისთვის ზედმეტი (ინვენტარი შეძენილი იყო, რამდენიმე ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების ერთდოულად ჩასატარებლად) სამშენებლო ინვენტარის და სამშენებლო ტექნიკის გაყიდვა.

იხ.შენიშვნა

საგადასახადო მოკლევადიანი ვალდებულებები

ორგანიზაციამ 2020 წლის 31, დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს შემოსავლების სამსახურის ანალიტიკურ დეპარტამენტთან გააფორმა შეთანხმება აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების თაობაზე 2021 წლის მაისის ბოლომდე.

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციას 2018 წლის 31 დეკემბერს აღებული ბიზნეს სესხი 75000 აშშ.დან ნაწილი დაიფარა 2019 წელს, ნაწილი დაიფარა 2020 წელს და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 14991,66 აშშ დოლარს.

იხ.შენიშვნა

ამონაგების აღიარება

- ამონაგების აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ამონაგების აღიარება ხდება სამშენებლო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დამკვეთთან სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების მიხედვით, საგარანტიო თანხის ჩათვლით.
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით
- ორგანიზაციას 2020 წელს ჰქონდა შემოსავალი ძირითადი საშუალებების , კერძოდ სამშენებლო ინვენტარისა და სამშენებლო ტექნიკის რეალიზაციიდან , რომელიც გაანგარიშებულია სხვაობა გასაყიდ ფასსა და საბალანსო ღირებულებას (მინუს დარიცხული ცვეთა) შორის და ასახულია სხვა შემოსავლებში
-

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღირიცხვა -ფუნქციური დანიშნულებით

ხარჯების აღიარება სამშენებლო ხელშეკრულებებით გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტების მიხედვით, რომელიც მიმდინარე პერიოდის ხარჯებად ჩამოიწერება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლოს შესაბამისად ორგანიზაციის მოგება განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 %-ით. ორგანიზაცია მოგების გადასახდით იბეგრება გაცემული დივიდენდის მიხედვით , 2020 წელს დივიდენდი არ გაცემულა და არც განაწილებულა.

ფინანსური რისკები

ორგანიზაციაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად. ორგანიზაციაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ორგანიზაცია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. ორგანიზაციას საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციას არ გააჩნია ცვალებად პროცენტთან სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. ორგანიზაცია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

ორგანიზაცია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. ორგანიზაციას მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ორგანიზაცია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

საექვო მოთხოვნების რეზერვი და საექვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო მოთხოვნების და ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნას.

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	110388	242650	15262
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	430397	482133	847424
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	99170	191352	0
მარაგები	215389	232200	343127
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	215389	232200	343127
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	13808
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	802983	1514193	1158234
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	150000
სულ აქტივები	1658327	2662528	2527855
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	511862	1061294	1453870
ანარიცხები	0	505983	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8176	8161	7015
საგადასახადო ვალდებულებები	44755	94736	145146
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	29552	84713	254992
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	117016	0	13750
სულ ვალდებულებები	711361	1754887	1874773
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0

საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	946966	907641	653082
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	946966	907641	653082
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1658327	2662528	2527855
სულ მოკლევადიანი აქტივები	744956	1148335	1205913
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	711361	1164191	1606032

ცხრილები მოცემულია ცალკე დანართის სახით.

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	3298795	5194666
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	324264	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	2832410	5194666
სხვა	142121	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1524081	-1051632
საწყისი მარაგები	0	343127
მარაგების შესყიდვა	0	940705
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1774714	4143034
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1218095	-2798013
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-51352	-260960
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-5035	-19630
იჯარის ხარჯი	-2785	-17460
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-303187	-792412
სულ საოპერაციო ხარჯები	-1580454	-3888475
საოპერაციო მოგება	194260	254559
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-154935	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	39325	254559
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	39325	254559
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	39325	254559
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	907641	653082
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	946966	907641

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-72066	266118
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-60196	-38730
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-132262	227388
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	242650	15262
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	110388	242650

შენიშვნა 1		ლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	31.12.2020	31.12.2019
თანხა სალაროში	16535	225435

თანხა ბანკში -ლარი	93853	16942
თანხა ბანკში - აშშ.დოლარი		273
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	110388	242650
<i>შენიშვნა 2</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	430397	482133
მისაღები პროცენტი		0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	99170	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	529567	482133
სამშენებლო ხელშეკრულებებით მომსახურების მიწოდებას ანხორციელებს ნორმალური საკრედიტო პირობებით აქედან მისაღებ თანხებს არ ერიცხება პროცენტი.		
<i>შენიშვნა 3</i>		
სასაქონლო მატერიალური მარაგი	31.12.2020	31.12.2019
სამშენებლო მასალები	215389	232200
სასაქონლო მატერიალური მარაგი	215389	232200
2020 წლის განმავლობაში 1524081 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალების მარაგები დაიხარჯა და საშუალო შეწონილი ღირებულებით-(მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე და ინვენტარიზაციის საფუძველზე), ჩამოიწერა ხარჯებში. სამშენებლო მასალები აღრიცხულია ცალ-ცალკე ობიექტების მიხედვით (სულ 3 ობიექტი).		
<i>შენიშვნა 4</i>		
ძირითადი საშუალებები	31.12.2020	
	სასარგებლო მომსახურების ვადა წელი	ნარჩენი ღირ-ბა ლარი
საოფისე ფართი	20-50	273568
სამშენებლო დანადგარები	5-10	373013
სამშენებლო ინვენტარი	1-5	137440
საოფისე აღჭურვილობა	3-5	18962

ძირითადი საშუალებები		802983
2020 წ 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ძირითადი საშუალებები მოიცავს ნარჩენ ღირებულებას. ცვეთის დარიცხვა ხდება კომპანიის მიერ არჩეული წრფივი მეთოდით.		
შენიშვნა 5		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	511862	1061294
გადასახდელი ხელფასები	8176	8161
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	117106	77183
სხვა ვალდებულება მომსახურებაზე		428800
დარიცხული პროცენტი		19630
სულ	637144	1575438
შენიშვნა 6		
საგადასახადო ვალდებულებები		
	31.12.2020	31.12.2019
დღგ	44755	5931
ქონების გადასახადი		5744
საშემოსავლო გადასახადები		83061
სულ	44755	94736
შენიშვნა 7		
სხვა ხარჯები		
	31.12.2020	31.12.2019
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	2174	18669

სამეურნეო და საოფისე ხარჯი	2785	16416
სხვა ორგანიზაციების მომსახურების ხარჯი	247758	7336
ბანკის მოსახურების საკომისიო	1846	3456
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	42511	16831
ქონების გადასახადი	8898	8922
სულ	305972	71630
<i>შენიშვნა 8</i>		
ფინანსური ვალდებულებები და ხარჯები		
	31.12.2020	31.12.2019
თიბისი ბანკის სესხის საწყისი ნაშთი	84713	254992
დაბრუნებული სესხი	55161	177102
გადაფასება სესხის		6823
გადახდილი პროცენტი	5035	19630
თიბისი ბანკის სესხის საბოლოო ნაშთი	29552	84713
ორგანიზაციას აღებული აქვს სს თიბისი ბანკიდან მიკრო ბიზნეს სესხი 70000 ლარი - 13.5%- განაკვეთით დაიფარა 2019 წლის 20 ოქტომბერამდე და 75000\$- 8.33% -განაკვეთით . 2020 წელს დაფარვის ვადა შეიცვალა 2021წლის 20 მაისამდე. რაც ამჟამა დ დაფარულია		
<i>შენიშვნა 9</i>		
გაცემული სესხები		
	31.12.2020	31.12.2019
დამფუძნებელზე გაცემული სესხი	0	
საწყისი ნაშთი	0	150000
დაფარული სესხები	0	150000
მიღებული პროცენტი	0	13750
სულ პერიოდის ბოლოს	0	0

შპს ეუროპიან პრაიმკლას კონსტრუქციის
დირექტორი თამარ გელიაშვილი

თ. გელიაშვილი

